ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკოლოზ კახეთელიძის ანგარიში 2023 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2024 წლის 1-ელ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

(01.11.2023 - 01.11.2024)

თბილისი
2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნიკოლოზ კახეთელიძე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

2023 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2024 წლის 1-ელ ნოემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა **შემდეგი სამუშაოები**:

➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომები, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში (01.11.2023წ. - 01.11.2024წ.) გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 15 სხდომა.

კომისიის 15 სხდომაზე განხილულ იქნა 85 საკითხი. მათ შორის, განხილული და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემდეგ საკითხებზე:

- ✓ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (სულ: განხილულ იქნა 72 დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების 372 წინადადება).

  კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც არგუმენტირებული დასაბუთების და/ან სათანადო დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული განცხადებების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი)

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტი (სულ: **2** პროექტი)

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 3 პროექტი)

- „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი)

- „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი)

- ✓ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები (სულ: 2 პროექტი)

- ✓ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი)

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი)

საანგარიშო პერიოდში (**2023 წლის 1-ელი ნოემბრიდან - 2024 წლის 1-ელი ნოემბერი**), კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ მომზადდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 85 სამართლებრივი დასკვნა.

- **2023 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2024 წლის 1-ელ ნოემბრამდე განხილული წერილები/განცხადებები**

საანგარიშო პერიოდში **კომისიაში შემოვიდა 708 განცხადება/წერილი (მათ შორის საჯარო ინფორმაციის გათხოვის შესახებ), რომელზეც კომისიამ** შესაბამისი რეაგირება განახორციელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

სამუშაო შეხვედრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან.

- შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელთან.

სამუშაო შეხვედრები:

- თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელმძღვანელ პირებთან.

- სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელ პირთან.

- შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელ პირთან.

- ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელ პირებთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

(ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტი (საბიუჯეტო კოდი: 03) და ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა (საბიუჯეტო კოდი: 09 02))

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე, სამუშაო შეხვედრების ფორმატში კომისიას ჰქონდა შეხვედრები შესაბამისი საქალაქო სამსახურებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებთან.

კომისიამ, საქალაქო სამსახურებთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ერთად, თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში, განიხილა 2024 წლისთვის დაგეგმილი პროექტები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

სამუშაო შეხვედრებზე დასმული საკითხები და სამსახურების საჭიროებები კომისიამ გაითვალისწინა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტის განხილვისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერსა და მთავრობას მიმართა შემდეგი წინადადებებითა და ინიციატივებით:

კომისიის მიერ წარდგენილი წინადადებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

- **გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 87 800 000 (ოთხმოცდაშვიდი მილიონ რვა ასი ათასი) ლარით (მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდია 6 200 000 (ექვსი მილიონ ორასი ათასი) ლარი);
- **დასუფთავების ღონისძიებების (კოდი: 03 02)** დაფინანსება დამატებით გაიზარდოს 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარით (ნარჩენების კონტეინერების შესყიდვისთვის - 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი, სპეც.ტექნიკის შესაძენად - 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი ლარი);
- **განხორციელდეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო ნუსხის 50 ერთეულით** (მომსახურე/ტექნიკური პერსონალი) გაზრდა;
- **2024 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას:**
  - **1 720 000 (ერთი მილიონ შვიდას ოცი ათასი) ლარი** - შპს „ეკოსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მებაღეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები, მთიბავები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასის, თანამდებობრივი სარგოს) გაზრდის მიზნით;
  - **7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი** - შპს „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებული ტექნიკური პერსონალის (მეეზოვეები, სპეც.ტექნიკის მძღოლები, მუშები და სხვ.) შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით;
  - **700 000 (შვიდასი ათასი) ლარი** - თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების (ხელფასი, თანამდებობრივი სარგო) გაზრდის მიზნით.
- 2024 წლის (საბიუჯეტო წლის) განმავლობაში, საბიუჯეტო ასიგნებების დაზუსტებისა და გაწეული ეკონომიის ხარჯზე, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსების გაზრდა საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში, გარემოს დაცვის კომისიის მიერ შეთავაზებული წინადადებები **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამების (03)** ასიგნებების გაზრდასთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში, რაც დადებითად შეფასდა კომისიის 2023 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე.

საბოლოოდ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამებისთვის (03) დაფინანსებამ შეადგინა** 221 611 100 ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (211 901 700 ლარი) მიმართებაში გაზრდილ იქნა 9 709 400 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (213 611 100 ლარი) მიმართებაში - 8 000 000 ლარით. მათ შორის: 300 არაგველის მემორიალთან არსებული (სკვერი) შუა გამყოფი ზოლის მოსაწყობად გამოყოფილ იქნა - 2 000 000 ლარი, ქინძმარაულის შესახვევი N30 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობისთვის - 1 000 000 ლარი, ნარჩენების კონტეინერების კონტეინერების შეძენისთვის - 5 000 000 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით, **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამების (03) დაფინანსება:**

- ✓ **გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01)** - პროგრამის ასიგნებები განისაზღვრა **68 901 300** ლარით;
- ✓ **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) -** პროგრამის ასიგნებები განსაზღვრა 137 105 600 ლარით;
- ✓ **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) -** ქვეპროგრამის ასიგნებები განსაზღვრა 4 478 700 ლარით;
- ✓ **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) -** ქვეპროგრამის ასიგნებები განსაზღვრა 11 125 500 ლარით.
- ✓ **ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) -** ასიგნებები განისაზღვრა 5 479 900 ლარით.

საბოლოო ჯამში, 2024 წლის განმავლობაში, ბიუჯეტის დაზუსტებისას, გაწეული ეკონომიებისა და გრანტების საფუძველზე, განხორციელდა ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების (03), ასევე, ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) დაფინანსების გაზრდა.

➢ გამწვანება, სარეკრეაციო სივრცეები

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე განხორციელდა შემდეგი გამწვანების ღონისძიებები და მოეწყო სარეკრეაციო სივრცეები:

- ✓ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოსაჭრელად მოინიშნა 24049 ხმელი და ხმობადი ხე და მოიჭრა 24049 ხე, ამოღებულ იქნა 322 წინა წლებში მოჭრილი ხის კუნძი, ასევე, მოიჭრა ზეხმელი და ავარიული 3830 ხე-ნარგავი, 1527 ბუჩქი, ასევე, ავტო-საგზაო შემთხვევის გამო დაზიანებული 309 ხე-მცენარე;

ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, წყნეთის ტყე-პარკსა და წყნეთის გზატკეცილზე, თბილისი კოჯორის დამაკავშირებელ გზაზე, ოქროყანის მიმდებარედ, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე; თბილისის ზღვის მიმდებარედ, უძოს ქუჩაზე, ლისის ტბის მიმდებარედ და სხვ.

- ✓ თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 31427 მ3 ნოყიერი მიწა;
- ✓ მოჭრილ და გატანილ იქნა 8249 $მ^3$ ძველი საფარი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა; მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 26 920 კვმ. ფართობი.
- ✓ ჰიდროთესვის პრინციპით გამწვანების თარგებში დაითესა 248 811 კვ.მ. ბალახი;
- ✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, სხვადასხვა მისამართებზე დაირგო 33 680 კვ.მ. რულონური გაზონი;
- ✓ პარკებში, სკვერებში და ქალაქის მოედნებზე დაირგო 448 860 სეზონური ყვავილი;
- ✓ ტყის გაშენების პროექტის ფარგლებში ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ მიმდებარედ 16 ჰა ფართობზე დაირგო 16 766 ცალი სხვადასხვა სახეობის ნერგი;

- ✓ ხუდადოვის ტყის აღდგენის მიზნით შემუშავდა ტყის აღდგენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ამ ტყის ნაწილზე მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე, 14 426 ცალი სხვადასხვა სახეობის ნერგის გაშენებას;
- ✓ განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და გამხმარი ნერგების ჩანაცვლება ჟინვალის ქუჩის მიმდებარე ფართობზე (5.4 ჰა, 9 460 ნერგი), ზ. წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატიანე“-ს მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე (10 765 ნერგი) და ზარაშვილის და გ. ქუთათელაძის ქუჩების მიმდებარედ (18.4 ჰა, - 13579 ნერგი); მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ჯამების მოწყობა) ჩაუტარდა სულ 33 804 ნერგს;
- ✓ საანგარიშო პერიოდში ჩაბარებულ იქნა (განთავსდა სანერგეში) 87 286 მცენარე; მათ შორის 8 644 დიდი ზომის ხე; 64 782 დეკორატიული ბუჩქი; 9 000 ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 1850 მცირე ზომის ხე და 3010 მცირე ზომის დეკორატიული ბუჩქი (პ9);
- ✓ სარწყავი სისტემა მოეწყო 18 ობიექტზე, მათ შორის დიდი დიღმის მე-4 მიკრორაიონი (ს.კ.: №01.10.08.005.041); თემქის ხევის პარკი; ა. წერეთლის გამზირზე №142-ის მიმდებარედ; ა. წერეთლის გამზირზე №134-ის მიმდებარედ; ა. წერეთლის გამზირზე №128-ის მიმდებარედ; ლისის ტბის მიმდებარედ (ს.კ.: №01.72.16.104.006); უნივერსიტეტის ქუჩის №17 მიმდებარედ; ადამ მიცკევიჩის ქუჩის თარგები; მოსკოვის გამზირის და სამგორის ქუჩის კვეთაზე არსებული კუნძული; ა. წერეთლის გამზირზე №123-ის მიმდებარედ; ა.წერეთლის გამზირზე №137-ის მიმდებარედ; ა. წერეთლის გამზირზე (ს.კ.: №01.13.03. 051.152); წყნეთის გზატკეცილის და ახალი ხიდის დამაკავშირებელი გზაგამყოფი კუნძული; ქერჩის ქუჩა (ს.კ.: №01.11.12. 019.049); კრწანისის ქუჩა №49-ის მიმდებარედ; ა. წერეთლის გამზირზე, №121-ის მიმდებარედ; ა. წერეთლის გამზირზე №91-ის მიმდებარედ; ა. წერეთლის გამზირზე № 140-ის მიმდებარედ.

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები

1. ვაზისუბნის დასახლებაში არსებული პარკი;
2. ტექსელის სახელობის პარკი;
3. მაიაკოვსკის სახელობის პარკი;
4. ვარკეთილში, რ. ხომლელისა და გ. აბაშვილის ქუჩების კვეთა ე. წ. "დამპალოს" სკვერი;
5. ლიბანის ქ. № 5 არსებული სკვერი;
6. ნონეშვილის და გობრონიძის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერი;
7. საცხენის №20-ის მიმდებარედ არსებული სკვერი;
8. ლილოს დასახლებაში არსებული სკვერი;
9. ბორის პაიჭაძის ქუჩაზე არსებული ბულვარი;
10. ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში არსებული პარკი;
11. ვარკეთილის IV მიკრორაიონში, 414-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი;
12. წერეთლის გამზირისა და გოგოლაურის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერი;
13. მუხიანში, 4ბ მიკრორაიონში არსებული სკვერი;
14. ვაკის პარკის დაბრუნებული ტერიტორია;
15. ზღვის უბნის პარკი.

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები

- 2023 წელს, ადგილმონაცვლეობის გზით, დედაქალაქს დაუბრუნდა ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

ტერიტორიაზე, პროექტის ფარგლებში, მოეწყო სარეკრეაციო სივრცე საფეხმავლო ბილიკებით, სპორტული მოედნით, საპიკნიკე არეალით, ცხოველების სასეირნო სივრცით, გადმოსახედით; დამონტაჟდა გარე განათების, ვიდეომეთვალყურეობისა და სარწყავი სისტემები.



ჩატარდა გამწვანებისთვის საჭირო ღონისძიებები: დაირგო 858 ძირი ხე, 1553 ბუჩქი და 3050 ბალახოვანი მცენარე, ასევე, 18 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა და დაირგო ბალახის საფარი.

- წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში, 8 სკვერი, გამწვანებული თარგები და გამწვანებული კუნძულები მოეწყო

- ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში არსებული ციციშვილის პარკის რეაბილიტაცია

2023 წელს დასრულდა ციციშვილის პარკის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, ხოლო მიმდინარე წელს სრულიად რეაბილიტირდა პარკი, რომლის საერთო ფართობი 24600 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო: სამი საბავშვო მოედანი, ორი სავარჯიშო სივრცე, სრულად განახლდა საფეხბურთო მოედანი, შეიცვალა კალათბურთის მოედნის ინფრასტრუქტურა, მოეწყო ექვსი დასასვენებელი პავილიონი, სოკოს ფორმის სასმელი წყლის ხუთი შადრევანი, განთავსდა სკამები და ურნები. ასევე, მოეწყო გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები.

პარკში ჩატარდა გამწვანების მასშტაბური სამუშაოები: მოეწყო სარწყავი სისტემა, დაირგო 4563 ძირი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი, 14653 კვ.მ. ფართობზე დაითესა ბალახის საფარი.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი

✓ 2023 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2024 წლის 1-ელ ნოემბრამდე ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 19 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 379 საკითხი.

კომისიის წევრის რანგში დასწრება: 18 სხდომა;

შესწავლილი საკითხების რაოდენობა: 378.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა:

- ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 372 ცვლილება (დადებითი 363, გადაიდო 9);
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 215 (214 დადებითი, 1 გადადებული (დაუბრუნდა მერიას ხელახალი ინიციირებისთვის));

- კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა 56 პროექტი;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები (10 პროექტი);
- დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 15 პროექტი;
- ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 83 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის - “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წევრი

2023 წლის წლის 1-ელი ნოემბრიდან 2024 წლის 1-ელ ნოემბრამდე ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა: - 15, განხილული საკითხების რაოდენობა: 37.

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

- 2023 წლის წლის 1-ელი ნოემბრიდან 2024 წლის 1-ელ ნოემბრამდე საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და შესწავლილი საკითხების რაოდენობა:

- საკრებულოს 14 სხდომა და განხილულ იქნა 788 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- საკრებულოს ბიუროს 17 სხდომა.

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განხილვაში მონაწილეობა

✓ *განკარგულება - 675;*

✓ *დადგენილება - 113.*

მადლობა ყურადღებისთვის

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ კახეთელიძე

საქართველო, თბილისი 0105,
თავისუფლების მოედანი 2
www.tbsakrebulo.gov.ge